

Salome Lomouri

სალომე ლომოური

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Hero's Image in the Lyrics of the „Our Generation“ Poets and Ana Kalandadze

გმირის სახე „ჩვენი თაობის“ პოეტებისა და ანა კალანდაძის ლირიკაში

This study explores the portrayal of the hero in the poetry of "Our Generation" poets and Ana Kalandadze. During World War II, Soviet poets were tasked with glorifying war heroes, leading to the emergence of a monumental and invincible warrior figure. However, poets of "Our Generation" offered diverse perspectives. Mirza Gelovani depicted war as a tragedy rather than a patriotic triumph, emphasizing soldiers' hardships and inevitable death. Lado Asatiani, in contrast, drew inspiration from historical Georgian heroes, portraying patriotism as pure and sincere. Ana Kalandadze, following Asatiani's legacy, humanized the Soviet heroic image, grounding it in history and personal sacrifice. Her poetry softened the rigid Soviet rhetoric, making the hero an integral part of the Georgian national identity.

Keywords: War poetry; Georgian poetry; Ana Kalandadze; Mirza Gelovani; Lado Asatiani

საკვანძო სიტყვები: ომის ლირიკა; ქართული პოეზია; ანა კალანდაძე; მირზა გელოვანი; ლადო ასათიანი

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945წწ.) საბჭოთა კავშირის პოეტებს დაევაღათ ლექსების წერა ომსა და სამშობლოს მცველ გმირებზე. მანამდე ნაციონალიზმის სახელით განდევნილი პატრიოტიზმი კვლავ აქტუალური გახდა და მთავრობის დაკვეთით, წინ წამოიწია სამშობლოსათვის თავდადების, მისი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის თემატიკამ. ძნელად თუ მოიძებნება 30-40-იან წლებში მოღვაწე პოეტი, რომელსაც ერთი-ორი ლექსი მაინც არ ჰქონდეს დაწერილი მსგავსი ნარატივით. ამგვარად, ამ პერიოდის პოეზიაში ნელ-ნელა გამოიძერწა სამშობლოსათვის მებრძოლი გმირის მონუმენტური სახე – ამაღლებული, ხელშეუხებელი და აუცილებლად გამარჯვებული, რადგან საბჭოთა კავშირის ომში დამარცხების შესაძლებლობა არც კი განიხილებოდა.

მიუხედავად მთავრობის პირდაპირი მითითებისა, „ჩვენი თაობის“ ზოგიერთი პოეტის ლირიკაში ომის რეფლექსია უფრო ტრაგიკულია, ვიდრე ჰეროიკული. ამ მხრივ გამოირჩევა მირზა გელოვანის შემოქმედება. პოეტი მხოლოდ ორიოდ ლექსში ახსენებს სტალინს და მისი ომის ლირიკა, უპირველესად, ყურადღებას იქცევს ფრონტული ცხოვრების შეულამაზებელი აღწერით. ამასთანავე, მირზა გელოვანის პოეზიაში ხშირად გვხვდებიან ქართული ფოლკლორის პერსონაჟები, მაგრამ არა ისტორიული გმირები. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პოეტთან გმირის სახე არ გვაქვს. თავისი შემოქმედების დასაწყისშივე, მის ლექსებში ვხვდებით ახალგაზრდა მეომარს, რომელიც

ტრაგიკულად იღუპება. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰეროიზმი და სიკვდილის გარდღევალობა მირზა გელოვანის პოეზიაში მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. მის ლირიკაში გმირის ფუნქციას მეზრძოლები ან მონადირეები ითავსებენ, ანდა ქართული მითოსის პერსონაჟები და არა ისტორიული ფიგურები. შეიძლება ითქვას, პოეტზე სწორედ მითოსურმა ხატებმა და ფოლკლორულმა გადმოცემებმა იქონია დიდი გავლენა და მათი დახმარებით ჩამოაყალიბა გმირის სახე, რომელიც, გარკვეულწილად, თავად მირზა გელოვანის შინაგანი „მესა“ და ხასიათის რეფლექსიაა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ პოეტი და მისი ლირიკული გმირები უნდა გავაიგივოთ. როგორც ი. ლოტმანი მიუთითებს, „ცხოვრებისეული ფაქტები საჭიროებს განსაზღვრულ ტრანსფორმაციას, რათა პოეტურ სიუჟეტად გამოდგეს“ (ლოტმანი, 2015, გვ. 352). იგივე შეიძლება ითქვას ლირიკულ გმირებზეც, მაშინაც კი, როცა თხრობა პირველ პირშია და თითქოს თავად ავტორი გვესაუბრება.

მირზა გელოვანის გმირები ახალგაზრდა, ფიცხი, მამაცი და ხშირად თავგანწირულად გამბედავები არიან. ისინი არ უფრთხიან სიკვდილს, პირიქით, ზოგ შემთხვევაში თითქმის ელტვიან მას. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მანამ, სანამ პოეტს ფრონტზე გაიწვევდნენ და პირისპირ შეეჩხებოდა სიკვდილს, მის გმირებს თან სდევდათ ერთგვარი განწირულობის განცდა. მაგალითად, 1935 წლით დათარიღებულ ბალადაში – „ცხენის ტირილი“ ახალგაზრდა არმიელი ტრაგიკულად იღუპება. იგივე ბედი ეწევა მისი ბალადების კიდევ ორ პერსონაჟს – თორღვას და შავლეგოს. მირზა გელოვანი ალიტერაციების ოსტატია და ტრაგიზმის გადმოცემას შესანიშნავი ბგერითი ფერწერით ახერხებს:

ცხენი ნაპრალებს ჩასდევდა ხოხვით
 სხლტებოდა ფეხი დაცურებული,
 ხევში მდინარე ჯავრობდა ოხვრით.
 ჩასდევდა, უცებ დაუსხლტა ფეხი,
 დაგორებული დაეცა მკვდარს და
 სისხლი იყნოსა სახსრების ტეხვით
 სისხლი ქვიქვირზე წითელ წალს ჰგავდა.
 ჩაიქვითინა მსხვილი ქვიქვირით
 დაჩეჩქვილ სახეს შეეხო ტუჩით
 ადგომა სთხოვა მხედარს ხვიხვინით,
 მაგრამ მხედარი გამოდგა ურჩი.
 („ცხენის ტირილი“. გელოვანი, 2009, გვ. 87)

ანდა: ქარო, შე ქარო, შარიანო!
 წადი, გაიარ მუხრან-ველი.
 კლდეს არწივები არიანო,
 არსენას უთხარ, ნუღარ მელის.
 შავლეგ ხიფათმა დაიტანაო,
 სადაც უტყეო მთები არი.
 არც ქვრივმა დედამ დაიტირაო,
 არც სატრფო მოსთქვამს თმებიანი.
 ქარო აშარო, ფრთა გაშალეო
 არწივებს უთხარ კაცის ენით:
 კლდის პირას კვდება ბიჭი შავლეგო
 მარტო კლდე ტირის ჟანგისფერი.
 („ბალადა შავლეგოზე“, გელოვანი, 2009, გვ. 198)

ფოლკლორულ გადმოცემებში გმირი ხშირად იღუპება და რაკი მირზა გელოვანის შემოქმედებას დიდწილად ისინი ასაზრდოებს, შესაძლოა, გმირთა ტრაგიკულ ხვედრსაც ეს ფაქტორი განაპირობებდეს. მაგრამ, მოგვიანებით, ფრონტულ ლექსებში უფრო აშკარა ხდება განწირულობის განცდა და ბალადებიდან ლირიკულ ლექსებში ინაცვლებს. მზიან-ჩრდილიანი განწყობის მქონე პოეტს არ ტოვებს შეგრძნება, რომ ამ ომს შეეწირება და თუმცა ცდილობს დაგვაჯეროს, რომ სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდება, ეს უფრო საკუთარი თავის დარწმუნების მცდელობას ემსგავსება.

ი. ლოტმანი მიუთითებს, რომ „პროზის სიუჟეტებთან შედარებით, პოეტური სიუჟეტები გამოირჩევა განზოგადების განსაკუთრებით მაღალი დონით. პოეტური სიუჟეტი არ მიისწრაფვის მოგვითხროს ერთი რომელიმე ჩვეულებრივი ამბავი; მან უნდა გადმოგვცეს მთავარი და ერთადერთი მოვლენა, ლირიკული სამყაროს არსი. ამ გაგებით, პოეზია უფრო ახლოსაა მითთან, ვიდრე რომანი“ (ლოტმანი, 2015, გვ. 351). მ. გელოვანის ლირიკაც ხშირად სწორედ მითოსით საზრდოობს. თუმცა მირზა გელოვანის ლირიკის გმირი – შეუპოვარი, მამაცი მონადირე, „სვანური მუხლით“, რომელიც მზადაა სამყაროს შეერკინოს და გაიმარჯვოს, მის ფრონტულ ლექსებში თითქმის არ გვხვდება. ომის თემატიკაზე დაწერილ ლექსებში პოეტი გულწრფელად, შეულამაზებლად აღგვიწერს ფრონტულ ყოფას და აქ იგი უკვე არა გმირი, არამედ ჯარისკაცია, რომელიც ცდილობს შემზარავი მოვლენების ფონზე შეინარჩუნოს სულის სიმალე და ომის სისასტიკეს გადაურჩეს.

ჩემს მიწურ ქოხში შემოდის სხივი
და კუთხეებში აყენებს ჩრდილებს
და ჩემი გულის განწირულ ყივილს
თავისებურად ხმას აუჩვილებს.
ო, რა თქმა უნდა, შენმა ოცნებამ
არ შეუძლია წარმოიდგინოს
მაქვს მინდიასებრ ბრძენის მოთმენა
სისხლის დამე და სისხლის ლოგინი.
მაქვს სიყვარული – იების სუნთქვა
სხვას კი ძვირფასო, არც ვინატრებდი
ვარ ერთი ვინმე ცასავით სუფთა
და ცაზე ვრცელი გულის პატრონი.
(გელოვანი, 2009, გვ. 239)

შეიძლება ითქვას, მირზა გელოვანის პოეზიაში „გმირი“ თავად პოეტის ალტერ ეგოა, თავიდანვე ტრაგიზმით დაღდასმული, მაგრამ მოგვიანებით, უკვე ფრონტზე მებრძოლი გელოვანი იშვიათი უშუალობით და გულწრფელობით დაწერილ ლექსებში მითოსურ საბურველს იცილებს და პოეტი-ჯარისკაცის სახით გვევლინება.

დასასრულს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მირზა გელოვანი სიმამაცეს, სამშობლოსათვის თავგანწირვას ვაჟკაცის მოვალეობად თვლიდა და ეს მისთვის ისეთი ბუნებრივი რამ იყო, რომ განსაკუთრებულ გმირობად არ მიიჩნევდა. ამ თვალსაზრისით, ვაჟკაცი მის შემოქმედებაში გმირს უტოლდება, რადგან ყოველ ნამდვილ ვაჟკაცს აქვს პოტენციური გახდეს გმირი.

„ჩვენი თაობის“ პოეტთა კიდევ ერთი გამორჩეული წარმომადგენლის – ლადო ასათიანის ლექსებში უფრო ხშირად ვხვდებით ქართველ გმირთა სახეებს (სამასი არაგველი, მაია წყნეთელი და ა.შ.). პოეტი იხსენებს ისტორიულ პიროვნებებს და მათს გმირობას მაგალითად გვისახავს:

ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები
მოდოდნენ რომ გაეღოთ საქართველოს კარები
მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები

და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები.

ისე მტკიცე იყვნენ თურმე ვით მეტეხის კედელი,

გმირი თამარ ვაშლოვნილი და მაია წყნეთელი.

(„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“, ასათიანი, 1988, გვ. 34)

ი. ლოტმანის აზრით, ჰეროიზმი ლიტერატურაში შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ერის კულტურაში დამკვიდრებული სიმბოლოებისა და ნარატივების ერთობლიობა, რომელიც სოციუმის ღირებულებებს ასახავს. ამგვარი ტექსტები ფართო კულტურული კოდის ნაწილი არიან და სწორედ მისი დახმარებით შეგვიძლია მათი გაშიფვრა. უფრო მეტიც, ეს კოდები განსაზღვრავენ გმირის – როგორც პერსონაჟის ტიპაჟს და ხასიათს, ისევე, როგორც მკითხველის მიერ გმირების აღქმას კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში.

ამავდროულად, დიალოგიზმის პრინციპი გულისხმობს, რომ გმირის ინტერპრეტაცია შესაძლოა, მრავალმხრივი იყოს, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება სოციუმი და ისტორიული კონტექსტი. ლოტმანმა შექმნა სემიოსფეროს კონცეპტიც – რომელიც ნიშნავს, რომ კულტურული ნიშნების სივრცეში წარმოიშობა რაიმე მნიშვნელობა, ხოლო გმირი ამ მნიშვნელობის გამომხატველად იქცევა: იგი განასახიერებს საზოგადოების ღირებულებებს, კონფლიქტებს, მიზნებს (Lotman, 1970, გვ. 54).

ამგვარად, ჰეროიზმი ლიტერატურაში მჭიდროდ უკავშირდება ერის კულტურულ და ისტორიულ განვითარებას, მის სიმბოლურ ხატებსა და მითოსს. საქართველო ოდითგანვე იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის და ეს ჩვენს ფოლკლორშიც აისახა. უფრო მეტიც, ჩვენი მითოსის გმირები ხშირად მონადირეები ან მეომრები არიან. სწორედ ასეთ გმირებს გვიხატავენ მირზა გელოვანიც და ლადო ასათიანიც. თუმცა, თუ მირზა გელოვანთან პიროვნული ვაჟკაცობაა წინა პლანზე წამოწეული, ლ. ასათიანთან სამშობლოსთვის ბრძოლის მოტივია ფართოდ გაშლილი.

ბუნებრივია, მეოცე საუკუნის დასაწყისში თავისუფლების დაკარგვა და საბჭოთა კავშირის წევრად ქცევა ქართველმა ერმა მწვავედ განიცადა. სისხლიანი რეპრესიების შემდეგ ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა მიუწვდომელი ოცნებად იქცა; ამიტომ 30-იანი წლების თაობის პოეტები ამაზე ვერც ისაუბრებდნენ, მაგრამ ლიტერატურაში პატრიოტიზმის დაშვება ზოგიერთმა მათგანმა სწორედ თავისუფლების წყურვილის, მისდამი ლტოლვის გადმოსაცემად გამოიყენა. ლადო ასათიანი მათ შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს: მის შემოქმედებას დიდწილად სწორედ ისტორიული პერსონაჟები ასაზრდოებენ.

მიუხედავად ცენზურის შემცირებისა, ეროვნული გმირებისადმი მიძღვნილი ლექსები ბევრ წინააღმდეგობას ეჩეხებოდა. 1942 წელს პოეტის კრებული “წინაპრები”, საბჭოთა ხელმძღვანელობის აზრით გადაჭარბებული პატრიოტული პათოსის გამო, უკვე დაბეჭდილი სრულად გაანადგურეს, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ცალი, რომლებიც ლადო ასათიანმა სტამბიდან მეგობრებისთვის დასარიგებლად გაიტანა. მიუხედავად ამგვარი დაბრკოლებებისა და დიდი წნეხისა, პოეტმა ქართველ გმირთათვის მიძღვნილი რამდენიმე შედეგრი დაგვიტოვა, რომელთაგან სამასი არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი „კრწანისის ყაყაჩოების“ გახსენებაც კმარა.

ცნობილი პალესტინელ-ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე, ედვარდ საიდი წიგნში „ორიენტალიზმი“ (1979) აყალიბებს პოსტკოლონიალურ თეორიას, რომელიც ჰეროიზმსაც მოიცავს. კერძოდ, საიდი მიიჩნევს, რომ ლიტერატურაში გმირები ხშირად აირეკლავენ კოლონიალისტურ, თუ ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამგვარად, მწერლობაში / პოეზიაში გმირი შესაძლოა კულტურული/ეროვნული გამძლეობისა და წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცეს.

ლადო ასათიანის ლექსების გმირებიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მეტრძოლი მეომრები არიან, ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს თავის შესწირეს და რომელთა წყალობითაც ქართველმა ერმა დღემდე მოაღწია. მის შემოქმედებაში გვხვდებიან: თამარ მეფე, ცოტნე დადიანი,

ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი, თინა წავკისელი, თამარ ვაშლოვანი, მაია წყნეთელი, მეფე ერეკლე II (პატარა კახი), ილია ჭავჭავაძე და სხვ.

თავის ჩანაწერებში პოეტი აღნიშნავს: „*აქილევსს რუსთაველის გმირები მირჩვენია: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი” – აქილევსმა არ იცის. ოღონდ ცოცხალი იყოს, მკვდართა სამეფოში არ დარჩეს და ... მკვდარ ლომს ცოცხალი ძაღლი ურჩვენია. ამის მსგავსი უთხრა მან რაღაც ჰადესში ჩასულ ოდისევსს“* (ასათიანი, 1988, გვ. 122). მართლაც, ასათიანის ლირიკულ გმირებს რუსთველისეული, ილიასეული, ვაჟასეული ღირებულებები აქვთ. ისინი მზად არიან, სამშობლოსთვის თავი გასწირონ:

რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე?!
ეს აწვალეზდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალეზს.
(ასათიანი, 1988, გვ. 45)

ლექსში „სუმბული“ პოეტი ვახტანგ მეექვსეს გვიხატავს და ათქმევინებს: „*მშობლიურ ბაღიდან გადმოყვანილი/ უცხო მიწაზე ვერ გავიხარე“* (ასათიანი, 1988, გვ. 39). ხოლო ლექსი „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ მძლავრი შინაგანი რიტმით გამოირჩევა, რასაც ალიტერაციები და გამეორებებიც უწყობს ხელს, ისე რომ მკითხველი ცხადად აღიდგენს პოეტის მიერ დახატულ სურათს საბრძოლოდ გამზადებული მოუთმენელი ცხენებისა და მოგვიანებით ბრძოლის ველზე დაცემული მეომრებისა:

ეს გაფრენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?
საით წავიდნენ ვაჟები, რად მიატოვეს რაშები,
რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშები?!

...

ეს მშობლიური ქარია ჩვენი ალგეთის ველების
თუ სუნთქვა ქარბუქიანი ფაფარაყრილი მერნების?
მერნებო, ველურ ფლოქვებით მიწა ამაოდ დატორეთ,
ამაოდ გაფიცებულხართ, ამაოდ უხმობთ პატრონებს,
ფოლადის ბეგთარიანებს ბნელში ამაოდ დაეძებთ:
ისინი მამულისათვის მარაბდის ველზე დაეცნენ!
ერთი მათგანი დაჭრილი უბეში დროშას მაღავდა,
იწვა სისხლისგან დაცლილი... კურთხეულ იყოს მარაბდა!
(ასათიანი, 1988, გვ. 82)

ლადო ასათიანის ლექსებში ჰეროიზმი ხელოვნურად არ არის შემოტანილი, ის ქართველი ხალხის მახასიათებელი, ერთ-ერთ ძირითად თვისებად გვევლინება. პოეტი ხშირად უსვამს ხაზს, რომ იგი დამოუკიდებლობისთვის მუდმივად მებრძოლი, მეომარი ერის შვილია. ლექსში „ქართული ენა“ ქართველთა მთავარი მახასიათებლებია აღწერილი:

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!
მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხტომა,

მეინვარების ღვთიურ ბრწყინვალეობით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
(ასათიანი, 1988, გვ. 89)

ლადო ასათიანის ლექსებში ასახული პატრიოტიზმის განცდა წრფელი და ნამდვილია. მას არ ახასიათებს ყალბი პათეტიკა. ეს მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელია სხვა თანამედროვე პოეტთაგან, რომელთაც საბჭოთა მთავრობის დაკვეთით, ქართულ პოეზიაში გმირის მონუმენტური სახე

დასასრულს, სანამ ანა კალანდაძის პოეზიის განხილვაზე გადავალთ, უნდა ვახსენოთ ყაყაჩოს სახე-სიმბოლო, რომელიც ლადო ასათიანის ბევრ ლექსში გვხვდება, მათ შორის ზემოთ ნახსენებ „კრწანისის ყაყაჩოებში“ და ლექსში – „ქართლის გზაზე“:

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავგობიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?!
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?!
(„კრწანისის ყაყაჩოები“, ასათიანი, 1988, გვ. 45)

ანდა: ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა,
რაც უფლის ციხეს გამოვცდით, უფრო და უფრო გახშირდა;
მინდვრებს, გორაკებს, ფერდობებს ეფინება და ედება,
გზაში ყაყაჩოს შეხვედრა სიკეთედ დაგვებდება:
სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდება!
(„ქართლის გზაზე“, ასათიანი, 1988, გვ. 44)

ინდირა გადილია მიუთითებს:

„ყაყაჩოს მხატვრული სახე, შეიძლება თამამად ითქვას, ლადო ასათიანის მონაპოვარია, მისი ლირიკის მეშვეობით დამკვიდრდა ეროვნულ მწერლობაში. ლადო ასათიანის ლექსებში ყაყაჩო თავგანწირული სიყვარულის, რაინდული თავდადების, გაუხუნარი გრძნობის სიმბოლოდ გვევლინება. ყაყაჩოები ჭრილობიდან მომდინარე სისხლის წვეთებივით გაბნეულან პოეტის ლექსებში და, მიუხედავად იმისა, რომ იგი პოეტური ძიების ნაყოფია, ბუნებრივი და ორგანული გვეჩვენება“ (ცხადაია, 2006, გვ. 72).

ეს პოეტური სახე ანა კალანდაძის პოეზიაშიც ბევრჯერ იელვებს, პოეტისათვის დამახასიათებელი სიფაქიზით. მის ლექსებში აშკარად ხმიანობს „ჩვენი თაობის“ პოეტების ლირიკის გამოძახილი.

ზოია ცხადაია აღნიშნავს, რომ 70-იან წლებში ახალი პოეტური ენერგიით გამოვლინდა ქართულ ენასთან დაკავშირებული განწყობილება. თაობათა ინტერესის საგნად კვლავ რჩება ეროვნული თემატიკა, რომლის პრიორიტეტს წლების განმავლობაში (და ალბათ, საზოგადოდ ქართული პოეზიის მთელ ისტორიაში) განსაზღვრავდა დაკარგული თავისუფლების ტაბუირება. შემოვლით, ქარაგმულად, იგავის ენაზე და ა.შ. ხდებოდა ამ თემის პოეტური წარმოსახვა, გრძნობის, განცდის რეალიზება. 70-იანი წლების ლირიკული სუბიექტი უფრო გახსნილი გახდა ამ მხრივ (ცხადაია, 2006, გვ. 74).

ანა კალანდაძე 70-იანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია, და შეიძლება ითქვას, ლადო ასათიანის პოეტური მემკვიდრეც. თავის ჩანაწერებში იგი ხშირად იხსენებს

ასათიანის პოეზიასთან პირველ შეხვედრას: „ამბობენ, გასრესილი ყვავილი უფრო მძაფრ სურნელს გამოსცემსო. ალბათ ამიტომ თუ მომხვდა გულზე „ადრე წასული კაცის ფიქრები“ მისი პოეზიის პირველგაცნობისთანავე... ეს იყო 1946 წელს. გულზე მომხვდნენ და მეყსეულად შთამაგონეს ლექსი „სასაფლაოს გაზაფხული“ (კალანდაძე, 1996, გვ. 468):

სადმე, ახლოს, მზე კვლავ გაშლის აკაციებს
და ყვავილნი, მათ გულმკერდზე დაფანტულნი,
მოვლენ შენთან ... ნანას გეტყვის ნაკადული
სასაფლაო ქვის კალთაში დაგაძინებს...
მე ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას
ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგეძინა,
ჩაგეძინა სიყვარულით ანაჩქროლებს...
არა, ლადო, აღარ მოვწყვეტ ყაყაჩოებს...
(კალანდაძე, 2022, გვ. 70)

ლადო ასათიანისა და ანა კალანდაძის შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ისტორიულ გმირთა პერსონაჟებად მოხმობის გარდა, ამ ორი დიდი პოეტის ლექსებს ისეთი მხატვრული სახეებიც აკავშირებს, როგორცაა ყაყაჩო. ანა კალანდაძე წერდა: „ყვავილებს ჩემს პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ისინი ჩემთვის არ არიან მხოლოდ ბოტანიკური ერთეულები, როგორც შეიძლება მავანს მოეჩვენოს. ისინი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავენ. მათ ჩემს შემოქმედებაში მეტი დატვირთვა აქვთ. მათ უკან ხშირად „ვიღაც“ დგას“-ო. (ჯოხაძე, 2022, გვ. 9). ყაყაჩოს სახის მიღმა ლადო ასათიანი შეიცნობა, მით უფრო, რომ ხშირად იმ ლექსებში, რომლებშიც ეს სახე გვაქვს მოცემული, ბრძოლის მოტივი და ისტორიული გმირებიც ჩნდებიან:

მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების...
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
არას გავნებ, მხოლოდ მოგეფერები...
უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში...
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს...
შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსვრა, აბა როგორ ინდომეს?
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ვუგალობოთ ჩვენს სამშობლოს მინდორ-ველს...
(„კარში გამო ჭია-ჭიამაია“, კალანდაძე, 2022, გვ. 50)

ა. კალანდაძე საგანგებოდ მიუთითებდა გმირი წინაპრების როლზე: „ჩემი შემოქმედების ერთ-ერთი წყარო ჩვენი დიდი წარსულიცაა... ჩვენმა დიდმა ისტორიამ დამაწერინა ლექსები წმინდა ნინოზე, დავით აღმაშენებელზე, ქეთევან დედოფალზე“ (კალანდაძე, 1991, გვ. 394). პოეტს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი ქართველი გმირებისათვის. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ყაყაჩოს სახე, ლადო ასათიანის პოეზიაში სამას არაგველს რომ უკავშირდება, ხშირად იჩენს თავს მის შემოქმედებაშიც. მისი ლირიკა ბიბლიასთან ერთად, ისტორიით სუნთქავს და ცოცხლობს.

ანა კალანდაძემ მოახერხა, საბჭოთა პოეზიის რიტორიკისთვის დამახასიათებელი მონუმენტური გმირის სახის შერბილება, მისი კვარცხლბეკიდან ჩამოყვანა და გაადამიანურება. პოეტის გმირები თავიანთი უბრალოებით, ადამიანურობით გამოირჩევიან. ისინი ამაღლებული სულიერ-

ბის მქონენი არიან და, ამავდროულად, ქართველი ხალხის განუყოფელ ნაწილად გვევლინებიან. ამავდროულად, ა. კალანდაძის ლექსებში ხშირად იჩენენ თავს უბრალო მეომრებიც:

მხედარს
ბრძოლა გადრეხადა,
ახლა...
ცერზე ქორი უჯდა..
თვალში ცეცხლი მობრიალი,
გულშიც
ცეცხლის ალი უჩნდა!
**დაღლილ სახეს –
გალიმება,**
ვით მზის კრთომა-
ცათა ლურჯთა...
ეს – უძლევი
სული გახლდათ
აწყურთა და
არტანუჯთა!
(„ხილვა“, კალანდაძე, 2022, გვ. 269)

ანდა: ვინ შეაცდინა ეშმაკმა?
ვინ გმო სახელი უფლის?
ვინ გაბედაო მეფისთვის
კარავთან
ტყორცნა შუბისა?
დაგვირჩა მეფე დავითი,
დიდია უფლის სახელი!
**წყაროსთან პური გატეხეს,
თან ... მოისინჯეს ნახმლევი...**
ელლაზის ჯარი აოტეს,
“სალამ უბარეს შორითა”
ყველამ წერილი წაიღო,
ვინც ჩვენთან მტრობით მოვიდა!
დიდია უფლის სახელი
სასწორ-სამართლის მქონები...
**ჩრდილში დამსხდარან ვოყები
ტანთ გაუხდიათ თორები.**
(„ბრძოლით ბრუნდება ლაშქარი“,
კალანდაძე, 2022, გვ. 244)

როგორც ვხედავთ, პოეტი საგანგებოდ უსვამს ხაზს მეომრების ადამიანურ ბუნებას: დაღლილობას, პურის ჭამას, მზით დასიცხულების მიერ აბჯრის გახდას და ჩრდილში მოსვენებას. ეს ლექსები ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი შტრიხებით ემიჯნებიან უფრო ამაღლებული ტონით დაწერილ ისეთ ლექსებს, როგორიცაა „ქეთევან დედოფალი“ („*ეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა, / უდრეკ იყო / დედოფალი!*“ – კალანდაძე, 2022, გვ. 68), ანდა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი „*** ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან...“.

ანა კალანდაძე თავის ჩანაწერებში აღნიშნავს: „ყოველ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ მშობ-ლიურ მიწას მოწყვეტილი კაცი ჰაერში ატაცებული ანთოსივით იღუპება. ამის გახსენება ვფიქრობ, დღესაც არ არის ზედმეტი“ (კალანდაძე, 1996, გვ. 78). იგი ისტორიული მეხსიერების შემონახვას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ბრძოლა არ დასრულებულა და 70-იან წლებშიც ისეთივე სიმძაფრით დგას ქართველთა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხი, როგორც გარდასულ საუკუნეთა განმავლობაში იდგა.

ლექსში „შორია თამარ“ პოეტი აღნიშნავს, რომ „ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა,/ მან ხმლის ხმარება აკვანში იცის...“ (კალანდაძე, 2022, გვ. 60). ამგვარად, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენი ერის მეომარ წარსულს, მუდმივ ბრძოლებში გატარებულს.

აღსანიშნავია „ქართველი მეომრის სიმღერა“ და „ვერ წაიღეს, ვერა!“ ორივე ლექსში პოეტი ქართველთა მტერთან ბრძოლას ასახავს, მხოლოდ პირველ ლექსში მეორე მსოფლიო ომია ნახსენები, მეორეში კი მხოლოდ სამშობლოს დაცვის მოტივია გადმოცემული.

ანა კალანდაძის ზემოთ მოყვანილი ლექსები მეტრული წყობითა და მდიდარი ევფონიითაც იქცევა ყურადღებას.

„ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პოეზიასთან სულიერი სიახლოვე ანას ლექსების მეტრიკამაც აირეკლა და განსაკუთრებით ამ მეტაფიზიკური სიახლოვით გახდა საცნაური, გაელვების წამიერი ხილვით რომ შეიგრძნობა. ანა რიტმის დიდოსტატი არ ყოფილა, არც საგანგებოდ ეძებდა რითმებს; არც მკითხველი რჩებოდა ნირწამხდარი და მისი პოვნით დამაშვრალი, რადგან მის ლექსში სულის მუსიკა უფრო ალიტერაციას ემყარება“ (ბარბაქაძე, 2023, გვ. 424-428).

დასასრულს უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ განხილული სამივე პოეტის შემოქმედებაში გმირის მონუმენტური სახე, რომელიც ომის თემატიკაზე შექმნილი საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი გახდა, ნაკლებად ისახება. უმეტესად, მ. გელოვანის, ლ. ასათიანისა და ა. კალანდაძის ლექსებში წარმოჩენილი გმირები ქართული მითოსითა თუ ისტორიით საზრდოობენ და ხელშესახებნი, ადამიანურები არიან, თავიანთი ნაკლითა და ღირსებებით. მთავარი რაც მათ აერთიანებთ, შეუდრეკელი სიმამაცეა, თვით გარდაუვალი სიკვდილის წინაშე, სამშობლოსა თუ ღირსეული საქმისათვის თავგანწირვის მოტივი, ვაჟკაცობა, შეულახავი ღირსება და არდანებება. ისინი მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ, მაშინაც კი, როცა ეს ბრძოლა განწირულია და მარცხით მთავრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ასათიანი, ლ. (1988). რჩეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ბარბაქაძე, თ. (2023). ბესიკიდან ბესარიონამდე. თბილისი: „მწიგნობარი“.
- გელოვანი, მ. (2009). დაბრუნება. საარქივო გამოცემა. თბილისი: „ეროვნული მწერლობა“.
- კალანდაძე, ა. (1996). ორტომეული II. თარგმანები, პროზაული ნაწერები. თბილისი: „საქართველო“.
- კალანდაძე, ა. (2022). ლექსები. თბილისი: პალიტრა L.
- ლოტმანი, ი. (2015). პოეტური ქმნილების ლექსიკური დონე. ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. ტ. III. თბილისი: „GGLAPress“.
- ცხადაია, ზ. (2006). XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიიდან. თბილისი: „მერანი“.
- Lotman, Y. (1970). *The Structure of the Artistic Text*. (ლოტმანი, ი. (1970). მხატვრული ტექსტის სტრუქტურა) – <https://www.scribd.com/document/332345591/Lotman-Jurij-1977-the-Structure-of-the-Artistic-Text>
- Said, E. (1979). *Orientalism*. New York: Vintage Books, A Division of Random House. https://monoskop.org/images/4/4e/Said_Edward_Orientalism_1979.pdf

References:

- Asatiani, L. (1988). Rcheuli. [Selected Works]. Tbilisi: "sabch'ota sakartvelo".
- Barbakadze, T. (2023). Besik'idan Besarionamde. [From Besik to Besarion]. Tbilisi: "mts'ignobari".
- Gelovani, M. (2009). Dabruneba. Saarkivo gamotsema. [Return. Archival Edition]. Tbilisi: "erovnuli mts'erloba".
- K'alandadze, A. (1996). Ort'omeuli II. Targmanebi, p'rozauli nats'erebi. [Collected Works, Vol. II: Translations, Prose Writings]. Tbilisi: "sakartvelo".
- K'alandadze, A. (2022). Leksebi. [Poems]. Tbilisi: p'alit'ra L.
- Lotman, Y. (1970). *The Structure of the Artistic Text*. (ლოტმანი, ი. (1970). მხატვრული ტექსტის სტრუქტურა) – <https://www.scribd.com/document/332345591/Lotman-Jurij-1977-the-Structure-of-the-Artistic-Text>
- Lot'mani, I. (2015). P'oet'uri kmnilebis leksik'uri done. lit'erat'uris teoriis krest'omatia. T'. III. [The Lexical Level of a Poetic Work. Chrestomathy of Literary Theory, Vol. III]. Tbilisi: „GGLAPress“.
- Said, E. (1979). Orientalism. New York: Vintage Books, A Division of Random House. https://monoskop.org/images/4/4e/Said_Edward_Orientalism_1979.pdf
- Tskhadaia, Z. (2006). XX sauk'unis kartuli lirik'is ist'oriidan. [From the History of 20th-Century Georgian Lyric Poetry]. Tbilisi: "merani"